



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო



დადგენილება:დ-87.87212442

თარიღი:01/09/2021

დადგენილება N13

„ახმეტის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ;

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს „ახმეტის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგია 2021-2024“ დანართი N1-ის შესაბამისად.

მუხლი 2

დამტკიცდეს 2021-2024 წლების სამოქმედო გეგმა დანართი N2-ის შესაბამისად.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

თამარ ყვინიშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი





ახმეტის
მუნიციპალიტეტი



მშვიდობის და
განვითარების აკადემია



ახალგაზრდობის
სააგენტო

ახმეტის მუნიციპალიტეტის
ახალგაზრდობის განვითარების
სტრატეგია 2021-2024

სარჩევი

1. შესავალი
2. ზოგადი ინფორმაცია
3. პრინციპები
4. სტრატეგიის შემუშავების პროცესი
5. ხედვა
6. სტრატეგიული მიზნები და ამოცანები
7. ლოგიკური ჩარჩო
8. განხორციელება, კოორდინაცია, მონიტორინგი და შეფასება
9. სამოქმედო გეგმა

1. შესავალი

„ახმეტის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიის“ (შემდგომში „სტრატეგია“) მიზანია, მხარი დაუჭიროს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 14-29 წლის ახალგაზრდობის წინაშე არსებული გამოწვევებისა და სირთულეების დაძლევის და ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდობის განვითარებასა და კეთილდღეობას. ის განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის:

- ხედვას;
- საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებს;
- სერვისების, პროგრამებისა და ღონისძიებების დაგეგმვას;
- შედეგებს, რომლებიც მიღწეულ უნდა იქნას მომდევნო 4 წლის განმავლობაში.

სტრატეგიის მიზნების წარმატებით განხორციელებისთვის ასევე მნიშვნელოვანია, რომ მასში გათვალისწინებული რესურსები, სერვისები და პროგრამები ფოკუსირებულ იქნას სასკოლო ასაკის ბავშვებზე.

„ახალგაზრდობა არის საზოგადოების მნიშვნელოვანი სეგმენტი, რომელსაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში წვლილის შეტანის დიდი პოტენციალი აქვს. ამ პოტენციალის სრულად რეალიზებისთვის აუცილებელია, სახელმწიფომ შექმნას სათანადო პირობები, მყისიერად უპასუხოს ახალგაზრდების წინაშე არსებულ გამოწვევებს, განახორციელოს თანამიმდევრული, საჯარო და ინტეგრირებული სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკა ახალგაზრდებისთვის და ახალგაზრდებთან ერთად. აღნიშნული პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს ადამიანის უფლებების, გენდერული თანასწორობისა და გარემოს დაცვის პრინციპებს. მნიშვნელოვანია, ახალგაზრდები, როგორც საზოგადოების სრულფასოვანი წევრები, აქტიურად ჩაერთონ და მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, რათა წვლილი შეიტანონ ქვეყნის განვითარებაში.“¹

ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, როგორც ახალგაზრდებთან ყველაზე დაახლოებულ ინსტიტუტებს, განსაკუთრებული როლი ენიჭებათ ახალგაზრდულ პოლიტიკაში. ის ახალგაზრდები, რომლებიც ცხოვრობენ მუნიციპალიტეტებში, უმეტესწილად ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობენ. არსებობს ბევრი ისეთი სერვისიც, რომლის კონტროლს ან განხორციელებას ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები უზრუნველყოფენ. სტრატეგია ემსახურება მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ახალგაზრდული საქმიანობის წარმატებით განხორციელებასა და ახალგაზრდული პოლიტიკის ეფექტურად მართვას.

¹ 2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია (ახალგაზრდებისთვის, ახალგაზრდებთან ერთად და ახალგაზრდების მიერ).

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4936402?publication=0>

2. ზოგადი ინფორმაცია

ახმეტის მუნიციპალიტეტი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულია აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთის მხარეში. ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ახმეტა. მუნიციპალიტეტში 15 ადმინისტრაციული ერთეულია:

1. ადმინისტრაციული ერთეული ახმეტა – ქალაქი ახმეტა;
2. ადმინისტრაციული ერთეული მატანი – სოფელი მატანი;
3. ადმინისტრაციული ერთეული საკობიანო – რომელიც მოიცავს სოფლებს: ბაყილოვანს, დედისფერულს, კუწახტას, საკობიანოს, ქორეთს, ყვარელწყალს, ხევისჭალას, ხადორს;
4. ადმინისტრაციული ერთეული დუისი – სოფლები: დუისი, წინუბანი;
5. ადმინისტრაციული ერთეული ჯოყოლო – სოფლები: ბირკიანი, ძიბახევი, ჯოყოლო;
6. ადმინისტრაციული ერთეული ხალაწანი – სოფლები: დუმასტური, ომალო; ზემო ხალაწანი, ქვემო ხალაწანი, შუა ხალაწანი;
7. ადმინისტრაციული ერთეული ზემო ალვანი – სოფლები: ზემო ალვანი, ხორბალო;
8. ადმინისტრაციული ერთეული ქვემო ალვანი – სოფლები: ბაბანეური, ქვემო ალვანი;
9. ადმინისტრაციული ერთეული მარაანი – სოფლები: არგოხი, მარაანი, ფიჩხოვანი;
10. ადმინისტრაციული ერთეული ოჟიო – სოფლები: ალავერდი, კოლოთო, ოჟიო;
11. ადმინისტრაციული ერთეული ზემო ხოდაშენი – სოფლები: აწყური, ახალდაბა, ზემო ხოდაშენი, ჩაბინაანი, ჩარექაული, ხველიანდრო, ხორხელი;
12. ადმინისტრაციული ერთეული ქისტაური – სოფლები: არაშენდა, ახალშენი, ახშანი, ახშნის ველები, ინგეთი, კოჯორი, ოსიაური, საჩალე, ქისტაური;
13. ადმინისტრაციული ერთეული კასრისწყალი – სოფელი კასრისწყალი;
14. თუშეთის ადმინისტრაციული ერთეული – რომელიც მოიცავს სოფლებს: აგურთას, ალისგორს, ბასოს, ბედელას, ბიქურთას, ბოჭორნას, ბუხურთას, გირევს, გოგრულთას, გუდაანთას, დადიკურთას, დანოს, დართლოს, დაქიურთას, დიკლოს, დოჭუს, ეთელთას, ილიურთას, ვაკისძირს, ვერხოვანს, ვესტმოს, ვესტომთას, ვემისხევს, თუშეთის საბუეს, ინდურთას, ინწუხს, კვავლოს, კოკლათას, ნაციხარს, ომალოს, ორციხეს, ჟველურთას, საგირთას, საჩილოლოს, ტბათანას, ფარსმას, ქუმელაურთას, ცოკალთას, შენაქოს, შტროლოთას, ჩიგლაურთას, ჩილოს, წაროს, ჭალას, ჭეროს, ჭემოს, ჭონთიოს, ხახაბოს, ხისოს, ჯვარბოსელს, ჰელოს, შავწყალას, ნაკუდურთას, მოზართას, ნადირთას;
15. ადმინისტრაციული ერთეული შახვეტილა – სოფლები: ბუხრები, ბუღაანი, ვემები, ნადუქნარი, საბუე, შახვეტილა, ჩაჩხრიალა, ჭართალა, ჯაბური, ქვემო ჩოფჩაური.

ახმეტის მუნიციპალიტეტში 14-29 წლის 7076 ახალგაზრდა ცხოვრობს, რომელთა უმრავლესობა მამრობითი სქესის წარმომადგენელია:

	ორივე სქესი	კაცი	ქალი
15-19 წლის ახალგაზრდები	1 976	1065	911
20-24 წლის ახალგაზრდები	2076	1 146	930
25-29 წლის ახალგაზრდები	2083	1 087	996
სულ	6135	3 298	2 837

საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით 15-29 წლის ახალგაზრდები შემდეგნაირად არიან გადანაწილებული:

ასაკი	საქალაქო დასახლება			სასოფლო დასახლება		
	ორივე სქესი	კაცი	ქალი	ორივე სქესი	კაცი	ქალი
15-19	412	218	194	1 564	847	717
20-24	432	219	213	1 644	927	717
25-29	483	246	237	1 600	841	759
სულ	1 327	683	644	4 808	2 615	2 193

²2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით,

3. პრინციპები

ადგილობრივი ახალგაზრდული პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებისთვის და სტრატეგიაში გაწერილი მიზნების მიღწევისთვის აუცილებელია შემდეგი პრინციპების გათვალისწინება:

- ახალგაზრდების მონაწილეობა: ახალგაზრდებს აქვთ უფლება, მიიღონ მონაწილეობა იმ გადაწყვეტილებების მიღებაში, რომლებიც მათ ეხება. შეუძლებელია პოზიტიური ცვლილებების მიღწევა მათ გარეშე, ვისაც ეს ცვლილებები ეხება. სტრატეგიის ხედვა, მიზნები, ამოცანები და სამოქმედო გეგმა მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების ჩართულობით შემუშავდა, რომ უზრუნველყოფილი ყოფილიყო მათი იდეებისა და უკუკავშირის გათვალისწინება დოკუმენტში. ახალგაზრდების ეფექტიანი მონაწილეობა გარანტირებული იქნება სტრატეგიის განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესებშიც;
- ახალგაზრდებისადმი კეთილგანწყობა: სტრატეგიის განხორციელებისას მხედველობაში იქნება მიღებული ის ფაქტი, რომ ახალგაზრდები როგორც განვითარების, ისე კულტურის თვალსაზრისით, განსხვავდებიან ერთმანეთისგან და საზოგადოების სხვა ჯგუფებისაგან და მათთან ურთიერთობა უნდა დამყარდეს მათი ასაკის, შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით;
- პარტნიორობა და თანამშრომლობა: სტრატეგია შემუშავდა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან პარტნიორობისა და კონსულტაციების შედეგად. მათი აქტიური მონაწილეობა მხარდაჭერილი იქნება მისი განხორციელების შემდგომ ეტაპებშიც, ვინაიდან ახალგაზრდობის წინაშე არსებულ ბევრ გამოწვევათა და

პრობლემათა დაძლევა შეუძლებელია მხოლოდ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ძალისხმევით. სფეროში მოქმედი ყველა აქტორის ჩართულობა, მათ შორის თანამშრომლობის განვითარება და საქმიანობის კოორდინაციის ხელშეწყობა, ახალი კავშირების და პარტნიორობების დამყარება სტრატეგიის ერთ-ერთი სახელმძღვანელო პრინციპია;

- მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომა: სტრატეგიასთან დაკავშირებული ყველა გადაწყვეტილების მიღება უნდა ხდებოდეს მკტიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებით. ადგილობრივი ახალგაზრდული პოლიტიკა ექვემდებარება შემუშავებას, განხორციელებას, შეფასებასა და გადასინჯვას მაღალხარისხიანი კვლევითი სამუშაოების შედეგების საფუძველზე და იმ ახალგაზრდების შეხედულებებისა და გამოცდილების გათვალისწინებით, რომელთაც უშუალოდ ეხებათ ეს პოლიტიკა;
- თანაბარი ხელმისაწვდომობა: სტრატეგია უზრუნველყოფს, რომ ყველა ახალგაზრდა თანაბრად სარგებლობდეს იმ შესაძლებლობებით და სიკეთეებით, რაც უკვე არსებობს ან მომავალში შეიქმნება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ახალგაზრდების არაორგანიზებული ჯგუფებისა და სპეციალური საჭიროების მქონე ახალგაზრდების მხარდაჭერასა და მონაწილეობას;
- გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირება: სტრატეგიისა და ადგილობრივი ახალგაზრდული პოლიტიკის ფარგლებში განხორციელებული ქმედებები ხელს უნდა უწყობდეს გრძელვადიანი და მდგრადი შედეგების მიღწევას, რაც გამოიხატება სხვადასხვა სისტემების, პლატფორმების, სინერგიების და სერვისების შექმნაში.

4. სტრატეგიის შემუშავების პროცესი

სტრატეგია მომზადდა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, ა(ა)იპ „მშვიდობისა და განვითარების აკადემიას“ და საქართველოს ახალგაზრდობის სააგენტოს შორის გაფორმებული ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე (იხ. დანართი 1) და მათი პარტნიორობის შედეგად, რომელიც შემდეგ გაფართოვდა და მოიცვა სხვა დაინტერესებული მხარეები.

სტრატეგიის შექმნის პროცესი მოიცავდა შემდეგ ეტაპებს:

- დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და პარტნიორობის დამყარება;
- სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის და იმ არსებული სამთავრობო სტრატეგიებისა და პროგრამების ანალიზი, რომლებიც დაკავშირებულია ახალგაზრდობთან;
- ადგილობრივ დონეზე არსებული პროგრამების, რესურსებისა და სერვისების შესწავლა და სიტუაციური ანალიზი;
- ადამიანური რესურსების შესაძლებლობების გაძლიერება;
- ახალგაზრდობის კვლევა ახმეტის მუნიციპალიტეტში, რომლის ფოკუსს წარმოადგენდა: ახალგაზრდების წინაშე მდგარი პრობლემებისა და გამოწვევების

- იდენტიფიცირება; ახალგაზრდების საჭიროებების შესწავლა და ახალგაზრდებისთვის არსებული შესაძლებლობების გამოვლენა (იხ. დანართი 2¹);
- ახალგაზრდობასთან დაკავშირებულ საკითხებზე ჩატარებული სხვადასხვა კვლევების ანალიზი;
 - სამუშაო შეხვედრები სტრატეგიის პროექტის მომზადებისა და პრიორიტეტების იდენტიფიცირების მიზნით;
 - სტრატეგიის პროექტის საჯარო განხილვები და დისკუსიები დოკუმენტის სრულყოფის მიზნით.

სტრატეგია ეფუძნება „2020-2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციას“ მუნიციპალიტეტში არსებული სპეციფიკისა და საჭიროებების გათვალისწინებით, ახალგაზრდობის სააგენტოს, ა(ა)იპ „მშვიდობისა და განვითარების აკადემიისა“ და ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელებულ კვლევას და უკვე არსებული მეორადი მონაცემების ანალიზს, ახალგაზრდებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის შედეგად შეგროვებულ ინფორმაციასა და იდეებს.

სტრატეგიის შემუშავების პროცესში გამოყენებული იყო ე.წ. „ლოგიკური ჩარჩოს მიდგომა“, რაც ითვალისწინებდა არსებული სიტუაციის ანალიზს და გამოწვევებისა და საჭიროებების იდენტიფიცირებას, ხოლო მათ საფუძველზე შესაბამისი მიზნების და ამოცანების განსაზღვრას და პრობლემების გადაჭრის გზების ჩამოყალიბებას.

სტრატეგია მოიცავს ხედვას, თუ როგორი უნდა იყოს ან შესაძლებელია, რომ იყოს ახალგაზრდობის მდგომარეობა მუნიციპალიტეტში; მიზნებს, რომელთაც ხელი უნდა შეუწყონ ხედვის განხორციელებას; თითოეული მიზნისთვის სტრატეგიაში გაწერილია ამოცანები და კონკრეტული ღონისძიებები - თითოეული ამოცანის მისაღწევად, რომლებიც შეადგენენ სამოქმედო გეგმას.

5. ხედვა

სტრატეგიის ხედვა ითვალისწინებს ისეთი ეკოსისტემის ჩამოყალიბების მხარდაჭერას, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდების ადამიანური და სოციალური კაპიტალის განვითარებას და სადაც ახალგაზრდებს აქვთ შესაძლებლობა, იყვნენ აქტიური მოქალაქეები და მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და განახორციელონ საკუთარი იდეები და ინიციატივები.

6. სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

მიზანი 1. ახალგაზრდების მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში გაზრდილია

2¹ კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 14-25 წლის 194 ახალგაზრდა. კვლევის შედეგები არ არის წარმომადგენლობითი. საბაზისო მაჩვენებელში მოცემულია გამოკითხული ახალგაზრდების პროცენტული განაწილება.

ახალგაზრდების მონაწილეობა და აქტიური მოქალაქეობა გულისხმობს, რომ მათ აქვთ უფლებები, საშუალებები, სივრცე და შესაძლებლობები, საჭიროების შემთხვევაში კი, მხარდაჭერა, რომ მონაწილეობა მიიღონ მათთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და შეეძლოთ მათზე ზეგავლენის მოხდენა; ასევე ჩართული იყვნენ ღონისძიებებში და აქტივობებში, რომ ხელი შეუწყონ უკეთესი საზოგადოების მშენებლობას⁴.

ახალგაზრდებს მრავალი ფორმით შეუძლიათ, მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ და სოციალურ ცხოვრებაში. ამისთვის მნიშვნელოვანია, რომ ისინი ფლობდნენ სრულყოფილ, პროაქტიურ და რელევანტურ ინფორმაციას არსებული რესურსებისა და შესაძლებლობების შესახებ; მუდმივად ხდებოდა მონაწილეობის ახალი და ინოვაციური გზების მოძიება; ყურადღება არ იქნას გადატანილი მხოლოდ ახალგაზრდების დიდი რაოდენობით მონაწილეობაზე, არამედ ფოკუსირება ხდებოდა ისეთ გზებსა და საშუალებებზეც, რომლებიც ახალგაზრდების მონაწილეობის უკეთეს ხარისხს უზრუნველყოფენ; საჭიროების შემთხვევაში, ახალგაზრდები იღებდნენ ფინანსურ, მორალურ, ინსტიტუციონალურ და სხვა მხარდაჭერას; არსებობდა სივრცეები, სადაც ახალგაზრდები იკრიბებიან და ხვდებიან ერთმანეთს, ატარებენ დროს და ერთობიან, თანატოლებთან და თანამოაზრეებთან ერთად გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებსა და აქტივობებს და/ან მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა აქტივობებსა და პროგრამებში; და ახალგაზრდებს შეეძლოთ ინიციატივებისა და იდეების განხორციელება, რომლებიც ეფექტური და სასარგებლოა მათთვის, მათი თანატოლებისა და მთელი საზოგადოებისთვის.

ამოცანები:

- 1.1. ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობა გაზრდილია;
- 1.2. მოხალისეობრივ საქმიანობაში ახალგაზრდების მონაწილეობა გაზრდილია;
- 1.3. ახალგაზრდებს აქვთ პროაქტიური წვდომა სრულყოფილ, ხარისხიან და სასარგებლო ინფორმაციასთან მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ;
- 1.4. ფუნქციონირებს ხელმისაწვდომი ახალგაზრდული სივრცეები;
- 1.5. შექმნილია მონაწილეობის თანაბრად ხელმისაწვდომი გარემო ყველა ახალგაზრდისთვის;
- 1.6. ახალგაზრდებს აქვთ საკუთარი იდეებისა და ინიციატივების განხორციელების შესაძლებლობა და იღებენ შესაბამის მხარდაჭერას.

მიზანი 2. ახალგაზრდული საქმიანობა განვითარებულია

ახალგაზრდული საქმიანობა წარმოადგენს საგანმანათლებლო საქმიანობას, რომელიც ხორციელდება ფორმალური განათლების, ოჯახური და სამსახურებრივი კონტექსტის მიღმა და ხელს უწყობს ახალგაზრდების განვითარებას და კეთილდღეობას, საზოგადოებაში მათ

აქტიურ მონაწილეობასა და ინტეგრაციას. ახალგაზრდული საქმიანობა მოიცავს მრავალფეროვან აქტივობებს (სოციალური, კულტურული, საგანმანათლებლო, გარემოსდაცვითი და სხვ.), რომლებიც ახალგაზრდების მიერ, მათთან ერთად და მათთვის, ჯგუფურად ან ინდივიდუალურად ხორციელდება.

ახალგაზრდული საქმიანობა ხორციელდება პროფესიონალი (ანაზღაურებადი) და მოხალისე ახალგაზრდული მუშაკების მიერ. ისინი ფლობენ შესაბამის კვალიფიკაციას და კომპეტენციებს, რათა იმუშავონ განსხვავებული ინტერესებისა და საჭიროებების მქონე ახალგაზრდებთან ან მათ ჯგუფებთან.

ახალგაზრდული საქმიანობა ქმნის კომფორტულ, უსაფრთხო და სასიამოვნო გარემოს, რომელშიც ახალგაზრდებს შეუძლიათ გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, ისწავლონ ერთმანეთისგან და განვითარონ მრავალფეროვანი კომპეტენციები (ცოდნა, უნარი, დამოკიდებულებები). ახალგაზრდულ საქმიანობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არაფორმალურ განათლებას.

ამოცანები:

2.1. ახალგაზრდებისთვის გავრდილია ხელმისაწვდომობა ხარისხიან ახალგაზრდული საქმიანობის პროგრამებზე, რომლებიც არაფორმალური განათლების საშუალებით ხორციელდება და ხელს უწყობენ ახალგაზრდებში სხვადასხვა კომპეტენციების განვითარებას;

2.2. ახალგაზრდული მუშაკის ინსტიტუტი გაძლიერებული და განვითარებულია.

მიზანი 3. ახალგაზრდებს აქვთ დასაქმების მეტი შესაძლებლობები

ახალგაზრდებისთვის დღემდე ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა დასაქმებაა, ხოლო მოსახლეობაში ახალგაზრდების უმუშევრობის დონე ყველაზე მაღალია. გარდა ზოგადი მიზეზებისა, რაც დაკავშირებულია ეკონომიკის განვითარებასა და ზრდასთან და სამუშაო ადგილების სიმცირესთან, ეს გამოწვეულია მრავალი სხვა სპეციფიკური ფაქტორით (განათლების სისტემიდან სამსახურზე გადასვლა, განათლების ხარისხი, საჭირო კომპეტენციების ნაკლებობა, ახალგაზრდების საჭიროებებზე მორგებული სამუშაო ადგილების სიმცირე და სხვა).

უსაფრთხო და ღისეული დასაქმება უზრუნველყოფს ახალგაზრდების ეკონომიკურ გაძლიერებას, მათი შესაძლებლობების რეალიზებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვან ინტეგრაციას. ამისთვის მნიშვნელოვანია, რომ გაიზარდოს ახალგაზრდების ეკონომიკური აქტიურობა, შემცირდეს უმუშევრობა, ახალგაზრდები გახდნენ ფინანსურად უფრო მეტად დამოუკიდებლები, გაიზარდოს საკუთარი სამუშაოთი კმაყოფილების დონე; გაიზარდოს პროფესიულ განათლებასა და პროფესიული გადამზადების/მომზადების პროგრამებზე ხელმისაწვდომობა; ახალგაზრდებს ჰქონდეთ ინფორმაცია დასაქმების შესაძლებლობების შესახებ; მოხდეს ახალგაზრდებში დასაქმებისთვის საჭირო, მათ შორის სამეწარმეო, კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა; უწყვეტი კარიერული დაგეგმვის

განვითარება. განსაკუთრებით აუცილებელია სპეციალური საჭიროების მქონე ახალგაზრდების მხარდაჭერა და ყველა ახალგაზრდისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა.

ამოცანები:

- 3.1. ახალგაზრდებს აქვთ დასაქმებისთვის საჭირო ინფორმაცია და კომპეტენციების განვითარების შესაძლებლობები;
- 3.2. პროფესიული განათლების შესაძლებლობებზე ხელმისაწვდომობა ახალგაზრდებისთვის გაზრდილია.

მიზანი 4. ახალგაზრდების აქვთ ჯანსაღი ცხოვრების მეტი შესაძლებლობები

საქართველოში ბევრი ახალგაზრდა მისდევს არაჯანსაღ ცხოვრების წესს, რომელიც მოიცავს: ალკოჰოლისა და თამბაქოს ჭარბ მოხმარებას, ფსიქოაქტიური ნივთიერებების ავადმომხმარებას, აზარტულ თამაშებს, მთვრალ მდგომარეობაში ავტომობილის მართვას, არასწორ კვებას და სხვ.

ჯანსაღი ცხოვრების მხარდაჭერა გულისხმობს, რომ, ერთის მხრივ, ახალგაზრდებს აქვთ ინფორმაცია ჯანსაღი ქცევების შესახებ, ხოლო, მეორეს მხრივ, ისეთი პროგრამებისა და სტრუქტურების შექმნას, რომლებიც ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო ქცევებს წახალისებს.

ამოცანები:

- 4.1. ცხოვრების ჯანსაღი წესი პოპულარული და წახალისებულია ახალგაზრდებს შორის;
- 4.2. ხარისხიანი სპორტული და ფიზიკური აქტივობის შესაძლებლობების ხელმისაწვდომობა ახალგაზრდებისთვის გაზრდილია.

7. ლოგიკური ჩარჩო

მიზანი 1. ახალგაზრდების მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში გაზრდილია

მიზანი/ამოცანა	ვადა	შესრულების მაჩვენებელი / ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	საბოლოო მაჩვენებელი
მიზანი 1. ახალგაზრდების მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში გაზრდილია	2024	ა) ახალგაზრდების რაოდენობა, რომელიც ფიქრობს, რომ ახალგაზრდობის	46.4% (ახალგ. კვლევა 2021)	60%

		ინტერესები გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის საქმიანობაში (სრულად გათვალისწინებულია ან უფრო გათვალისწინებულია, ვიდრე არა)		
	2024	ბ) ახალგაზრდების რაოდენობა, რომელსაც არ სურს მუნიციპალიტეტიდან საცხოვრებლად სხვაგან გადასვლა	30.9% (ახალგ. კვლევა 2021)	50%
ამოცანა 1.1. ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობა გაზრდილია	2024	ა) ახალგაზრდების რაოდენობა, რომელიც გასული 12 თვის განმავლობაში ინტენსიურად იყო ჩართული მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში	7.7% (ახალგ. კვლევა 2021)	30%
ამოცანა 1.2. მოხალისეობრივ საქმიანობაში ახალგაზრდების მონაწილეობა გაზრდილია	2024	ახალგაზრდების რაოდენობა, რომელმაც გასული 12 თვის განმავლობაში მონაწილეობა მიიღო მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში ან/და საზღვარგარეთ	34.5% (ახალგ. კვლევა 2021)	40%
ამოცანა 1.3. ახალგაზრდებს აქვთ პროაქტიური წვდომა სრულყოფილ, ხარისხიან და სასარგებლო ინფორმაციასთან მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ	2024	ახალგაზრდების რაოდენობა, რომელიც ინფორმაციას მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ადგილობრივი ხელისუფლებისგან იღებს	7.2% (ახალგ. კვლევა 2021)	20%
ამოცანა 1.4. ფუნქციონირებს ხელმისაწვდომი ახალგაზრდული	2024	ა) ახალგაზრდების რაოდენობა, რომელმაც იცის, რომ მუნიციპალიტეტში	58.2% (ახალგ. კვლევა 2021)	70%

სივრცეები		არსებობს ფიზიკური სივრცე (ოთახი, შენობა), რომელიც გამოყოფილია ახალგაზრდებისათვის		
	2024	ბ) ახალგაზრდების რაოდენობა, რომელიც რეგულარულად სარგებლობს ახალგაზრდული სივრცით (თვეში რამდენჯერმე)	25.7% (ახალგ. კვლევა 2021)	50%
ამოცანა 1.5. შექმნილია მონაწილეობის თანაბრად ხელმისაწვდომი გარემო ყველა ახალგაზრდისთვის	2024	ა) ახალგაზრდების რაოდენობა, რომელიც ახალგაზრდობის წინაშე მდგარ ხუთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას შორის ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობას ასახელებს	28.0% (ახალგ. კვლევა 2021)	10%
	2024	ბ) ახალგაზრდების რაოდენობა, რომელმაც მონაწილეობა მიიღო მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ ახალგაზრდულ პროგრამებში (რეგულარულად მონაწილეობს ან რამდენჯერმე მიღო მონაწილეობა)	8.8% 44.3% (ახალგ. კვლევა 2021)	60%
	2024	გ) ახალგაზრდების რაოდენობა, რომელიც ახალგაზრდობის წინაშე მდგარი ხუთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას შორის უმცირესობათა უფლებების დაცვას ასახელებს	7.2% (ახალგ. კვლევა 2021)	3%
ამოცანა 1.6. ახალგაზრდებს აქვთ საკუთარი იდეებისა და ინიციატივების განხორციელების შესაძლებლობა და იღებენ შესაბამის მხარდაჭერას	2024	ა) ახალგაზრდების რაოდენობა, რომელმაც მიმართა მუნიციპალიტეტს რაიმე სახის ინიციატივის / პროექტის განსახორციელებლად	20.6% (ახალგ. კვლევა 2021)	30%
	2024	ბ) ახალგაზრდების რაოდენობა, რომელიც კმაყოფილია	47.5% (ახალგ. კვლევა 2021)	80%

		მუნიციპალიტეტის დახმარებით (ძალიან კმაყოფილი ან უფრო კმაყოფილი, ვიდრე არა)		
--	--	--	--	--

მიზანი 2. ახალგაზრდული საქმიანობა განვითარებულია

მიზანი/ამოცანა	ვადა	შესრულების მაჩვენებელი / ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	საბოლოო მაჩვენებელი
მიზანი 2. ახალგაზრდული საქმიანობა განვითარებულია	2024	ახალგაზრდების რაოდენობა, რომელიც ჩართულია ახალგაზრდულ საქმიანობაში	28% (ახალგ. კვლევა 2021)	30%
ამოცანა 2.1. ახალგაზრდებისთვის გაზრდილია ხელმისაწვდომობა ხარისხიან ახალგაზრდული საქმიანობის პროგრამებზე, რომლებიც არაფორმალური განათლების საშუალებით ხორციელდება და ხელს უწყობენ ახალგაზრდებში სხვადასხვა კომპეტენციების განვითარებას	2024	ა) ახალგაზრდების რაოდენობა, რომელმაც ბოლო 12 თვის განმავლობაში ისარგებლა შემდეგი სერვისებით: არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამები (ტრენინგკურსები, სემინარები, ვორქშოპები და სხვა); მუნიციპალიტეტში არსებული სხვადასხვა კულტურული და სპორტული წრეები; საბანაკე პროგრამები; საინფორმაციო და საკონსულტაციო სერვისები	46.9% 12.9% 10.3% 7.7% (ახალგ. კვლევა 2021)	50% 21% 18% 12.5%
	2024	ახალგაზრდების რაოდენობა, რომელიც კამყოფილია მუნიციპალიტეტში არსებული კულტურულ-შემოქმედებითი და გართობა-დასვენების შესაძლებლობებით (ძალიან კმაყოფილი ან უფრო კმაყოფილი, ვიდრე არა)	28.3% 31.5% (ახალგ. კვლევა 2021)	35% 35%
ამოცანა 2.2. ახალგაზრდული მუშაკის ინსტიტუტი	2024	სერტიფიცირებული ახალგაზრდული მუშაკების რაოდენობა	0	24

გაძლიერებული და განვითარებულია				
--------------------------------	--	--	--	--

მიზანი 3. ახალგაზრდებს აქვთ დასაქმების მეტი შესაძლებლობები

მიზანი/ამოცანა	ვადა	შესრულების მაჩვენებელი / ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	საბოლოო მაჩვენებელი
მიზანი 3. ახალგაზრდებს აქვთ დასაქმების მეტი შესაძლებლობები	2024	ა) ახალგაზრდების რაოდენობა, რომელიც ახალგაზრდობის წინაშე მდგარ ხუთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას შორის დასაქმებას ასახელებს	73.7% (ახალგ. კვლევა 2021)	50%
	2024	ბ) ახალგაზრდების რაოდენობა, რომელიც არ არის დასაქმებული, მაგრამ ეძებს სამუშაოს	32.5% (ახალგ. კვლევა 2021)	28%
ამოცანა 3.1. ახალგაზრდებს აქვთ დასაქმებისთვის საჭირო ინფორმაცია და კომპეტენციების განვითარების შესაძლებლობები	2024	ა) ახალგაზრდების რაოდენობა, რომელიც თვლის, რომ ახალგაზრდისთვის დასაქმება მუნიციპალიტეტში რთულია (ძალიან რთულია ან უფრო რთულია, ვიდრე მარტივი)	72.1% (ახალგ. კვლევა 2021)	50%
	2024	ბ) ხანგრძლივი დროით (1 წელი და მეტი) უმუშევრების პროცენტული წილი იმ ახალგაზრდებში, რომლებიც არ არიან დასაქმებული, მაგრამ ეძებენ სამუშაოს	27.0% (ახალგ. კვლევა 2021)	22%
ამოცანა 3.2. პროფესიული განათლების შესაძლებლობებზე ხელმისაწვდომობა ახალგაზრდებისთვის გაზრდილია	2024	ახალგაზრდების რაოდენობა, რომელიც ახალგაზრდობის წინაშე მდგარი ხუთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას შორის პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობას ასახელებს	34.5% (ახალგ. კვლევა 2021)	25%

მიზანი 4. ახალგაზრდების აქვთ ჯანსაღი ცხოვრების მეტი შესაძლებლობები

მიზანი/ამოცანა	ვადა	შესრულების მაჩვენებელი / ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	საბოლოო მაჩვენებელი
მიზანი 4. ახალგაზრდების აქვთ ჯანსაღი ცხოვრების მეტი შესაძლებლობები	2024	ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც რეგულარულად ვარჯიშობენ, დაკავებული არიან სპორტით ან სხვა ფიზიკური აქტივობებით (თითქმის ყოველდღე, კვირაში 3-4 დღე ან კვირაში 1-2 დღე)	38.2% (ახალგ. კვლევა 2021)	50%
ამოცანა 4.1. ცხოვრების ჯანსაღი წესი პოპულარული და წახალისებულია ახალგაზრდებს შორის	2024	ახალგაზრდების რაოდენობა, რომელიც თვლის, რომ მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებში სიგარეტის, ალკოჰოლის, მარიხუანის, ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება და აზარტულ თამაშებში ჩართულობა პრობლემურია (მალიან პრობლემურია ან უფრო პრობლემურია, ვიდრე არა)	72.6% 62.9% 62.9% 51% 48.4% (ახალგ. კვლევა 2021)	50% 50% 50% 46% 40%
ამოცანა 4.2. ხარისხიანი სპორტული და ფიზიკური აქტივობის შესაძლებლობების ხელმისაწვდომობა ახალგაზრდებისთვისაა რდილია	2024	ახალგაზრდების რაოდენობა, რომელიც ახალგაზრდობის წინაშე მდგარი ხუთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას შორის ვარჯიშის, სპორტულ აქტივობაში ჩართვის შესაძლებლობას შესაძლებლობის ნაკლებობა ასახელებს	34.0% (ახალგ. კვლევა 2021)	15%

8. სტრატეგიის მონიტორინგი და შეფასება

სტრატეგიის განხორციელების მთავარი ინსტრუმენტია სამოქმედო გეგმა. ის მოიცავს კონკრეტულ და დროში გაწერილ აქტივობებს, რომლებიც ამოცანებისა და მიზნების შესრულებას უზრუნველყოფს და სტრატეგიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების დაფინანსების მოცულობის საკითხი ყოველიურად მუნიციპალიტეტის ორგანოების მსჯელობისა და დამტკიცების საგანი იქნება.

სტრატეგიის საერთო მართვაზე, განხორციელებასა და კოორდინაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მუნიციპალურ უწყებას, რომლის კომპეტენციაშიც იქნება ახალგაზრდობასთან დაკავშირებული საკითხები. მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს, რომ ახალგაზრდებს, მათ შორის სპეციალური საჭიროებების მქონე და ნაკლებად აქტიურებს, ჰქონდეთ სტრატეგიის განხორციელებაში მონაწილეობის სრული შესაძლებლობა. ისინი არამხოლოდ მუნიციპალური აქტივობების, სერვისების და პროგრამების ბენეფიციარები არიან, არამედ ჩართული იქნებიან პროგრამებისა და პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაშიც.

მუნიციპალური სამსახურები და ორგანიზაციები პასუხისმგებელი არიან სტრატეგიის განხორციელებაზე მათი საქმიანობისა და კომპეტენციის სფეროების მიხედვით. ისინი გაითვალისწინებენ, რომ მათ მიერ განხორციელებული პროგრამები, სერვისები და აქტივობები შესაბამისობაში იყოს სტრატეგიასთან იმ შემთხვევებშიც კი, თუ ისინი არაა მითითებული სტრატეგიაში.

ახალგაზრდობის წინაშე არსებულ ბევრ გამოწვევათა დაძლევა შეუძლებელია მხოლოდ ერთი სექტორის, თუნდაც ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოების ძალისხმევით. ადგილობრივი თვითმმართველობის ძალისხმევის პარალელურად, უმნიშვნელოვანესია, ასევე, სხვა სექტორის მხარდაჭერაც. სხვა მნიშვნელოვანი აქტორები, რომელთაც შეუძლიათ მხარი დაუჭირონ სტრატეგიის განხორციელებას, არიან: საქართველოს მთავრობა და შესაბამისი სამინისტროები, ახალგაზრდული ორგანიზაციები და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ახალგაზრდების განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობენ, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები, ბიზნესი, მედია და მკვლევარები.

სტრატეგია მიზნად ისახავს, რომ უზრუნველყოს ყველა დაინტერესებული პირის ჩართვა სტრატეგიის განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში.

მუნიციპალიტეტი განახორციელებს სტრატეგიის მუდმივ მონიტორინგსა და შეფასებას ახალგაზრდებთან და დაინტერესებულ მხარეებთან პარტნიორობით. ამ მიზნით რეგულარულად შეგროვდება სარწმუნო მონაცემები როგორც ბენეფიციარებიდან, ასევე აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციებიდან და ჩატარდება შესაბამისი კვლევები. კვლევისა და მონაცემების ანალიზის საფუძველზე მოხდება სტრატეგიის გადახედვა, ადაპტირება და სრულყოფა, რომ უზრუნველყოფილი იყოს მაქსიმალური შედეგების მიღწევა. ამ პროცესში ყველა ეტაპზე ჩართული იქნებიან როგორც ახალგაზრდები, ასევე სხვა დაინტერესებული მხარეები.

სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასებისთვის დაინერგება რიგი

მექანიზმები:

- ყოველი წლის დეკემბერში მუნიციპალიტეტი გამოაქვეყნებს სამოქმედო გეგმის წლიურ ანგარიშს. რომელიც შეაფასებს სტრატეგიის განხორციელების შედეგად მიღწეულ პროგრესს. ანგარიშში ასახული იქნება განხორციელებული აქტივობები, მომავალი წლის გეგმები;

